DETERMINANTS OF ECONOMIC GROWTH AND DEVELOPMENT IN CONDITIONS OF THE MODERN CHALLENGES OF GLOBALIZATION

ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტები გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების პირობებში

Givi Bedianashvili
Doctor of Economic Sciences
Associate Professor at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University;
Professor at European University.
2, University Str., Tbilisi, 0186 Georgia
+995 599969459 givi.bedianashvili@tsu.ge
https://orcid.org/0000-0003-4521-737X

Abstract. The purpose of the scientific paper "Determinants of economic growth and development in conditions of the modern challenge of globalization" is to identify the modern features of globalization, to reveal the main determinants of economic growth and development, to characterize their specificity, to characterize the main challenges of Georgia in this regard and to formulate relevant recommendations.

The world civilization is characterized by a particularly high degree of uncertainty, which is caused by the processes taking place in various spheres of society, which with their scope of action go beyond the boundaries of one specific sphere and in many cases are not the cause of significant, sometimes crisis shock effects in other spheres.

First of all, it is important for every state to ensure the sustainability of the functioning of the socio-economic system of its country, which has become relevant in the environment of turbulent globalization processes. The sustainability of a country depends on its level of socio-economic security, which in turn is a complex problem and involves economic, social, ecological, technological and other areas of community life. Consequently, it is relevant to use the socio-economic concept, systematic representation and analysis of economic and non-economic factors in identifying the determinants of economic growth and development of the country.

Determinants of economic growth and development, such as high level of uncertainty, global climate change, formation of a knowledge based economy, cultural and value characteristics are distinguished. For Georgia, opinions are expressed about the recommendations related to the mentioned challenges and determinants.

Keywords: turbulent and confrontational globalization, insecurity, determinants of economic growth and development of the country, peculiarities of national culture

გივი ბედიანაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, .0186 საქართველო
+995 599969459 givi.bedianashvili@tsu.ge
https://orcid.org/0000-0003-4521-737X

აბსტრაქტი. სამეცნიერო ნაშრომის „ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტები გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების პირობებში“ მიზანია გლობალიზაციის თანამედროვე თავისებურებების იდენტიფიცირება, ეკონომიკური ზრდის და განვითარების მთავარი დეტერმინანტების გამოვლენა, მათი სპეციფიკის დახასიათება, ამ მიმართებით საქართველოს ძირითადი გამოწვევების დაფიქსირება და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

მსოფლიო ცივილიზაცია გამოირჩევა განუზღვრელობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რასაც განაპირობებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არის სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი.

ყოველი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ხდება პირველ რიგში თავისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც აქტუალური გახდა ჯერ კიდევ ტურბულენტური გლობალიზაციის გარემოში. ქვეყნის მდგრადობა დამოკიდებულია მისი სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე, რაც წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებს. აქედან გამომდინარე, აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტების გამოვლენისას სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის გამოყენება, ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების სისტემური წარმოდგენა და ანალიზი.

გამოყოფილია ეკონომიკური ზრდის და განვითარების ისეთი დეტერმინანტები, როგორიცაა განუზღვრელობის მაღალი დონე, კლიმატის გლობალური ცვლილება, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება, კულტურის და ფასეულობების მახასიათებლები. გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოსთვის აღნიშნული გამოწვევების და დეტერმინანტების შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ.

საძიებო სიტყვები: ტურბულენტური და კონფრონტაციული გლობალიზაცია, განუზღვრელობა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტები, ეროვნული კულტურის თავისებურებები.

შესავალი. დღეს მსოფლიო ცივილიზაცია გამოირჩევა განუზღვრელობის (გაურკვევლობის) განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რასაც განაპირობებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან საკუთრივ კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არაიან სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი (Bedianashvili, 2021).

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების და განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ ფაქტორს - მის მიერ არჩეულ და რეალიზებულ ეკონომიკური პოლიტიკას და ეკონომიკის ადაპტაციის უნარს შიგა და გარე შოკების მიმართ (BonHoKoo & Dwight H. Perkins, 1995).

აქტუალობა. კონფრონტაციული (Papava, 2022a) გლობალიზაციის გარემოში ყოველი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ხდება პირველ რიგში თავისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც აქტუალური გახდა ჯეერ კიდევ ტურბულენტური გლობალიზაციის პროცესების გარემოში. ქვეყნის მდგრადობა დამოკიდებულია მისი სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე, რაც

თავის მხრივ, წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას და ჩაირთავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებს. აქედან გამომდიმარე, აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტების გამოვლენისას სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის გამოყენება, ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების სისტემური წარმოდგენა და ანალიზი.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გლობალიზაციის თანამედროვე თავისებურებების იდენტიფიცირება, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტების გამოვლენა, მათი სპეციფიკის დახასიათება, ამ მიმართებით საქართველოს ძირითადი გამოწვევების დახასიათება და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

მეთოდი. სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, სისტემური ანალიზი, მოდელირება.

ლიტერატურის მიმოხილვა. გლობალიზაციის დასაწყისი პერიოდის შესახებ მეცნიერებს შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. არის მოსაზრებები, რომ გლობალიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ კაცობრიობის ისტორიის სათავეებიიდან (O'Rourke &.Williamson, 2002). თუმცა, დროთა განმავლობაში უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, სხვადასხვა ცივილიზაციებმა განავითარეს კომერციული სავაჭრო გზები, მოხდინეს კულტურული გაცვლა, მოსახლეობის მიგრაციის, მოგვიანებით, უკვე მეოცე საუკუნეში სატრანსპორტო კომუნუნიკაციების და ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე, მოხდა გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება.

1980-იანი წლების შუა ხანებში როლანდ რობერტსონმა პირველად გამოიყენა ტერმინი გლობალიზაცია კულტურული და რელიგიური ფენომენების გლობალური კონტექსტით აღწერის დროს (Robertson, 1985).

შედგომ გლობალიზაციის პროცესმა მიიღო კომპლექსური ხასიათი და გამოვლინდა ეკონომიკური, ფინანსური, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური, ტენოლოგიური, გეოგრაფიული და ეკოლოგიური სფეროების ფორმატში.

თანამედროვე გამოწვევების ანალიზის პროცესში, პირველ რიგში, უნდ გამოიყოს გლობალიზაციის კონფრონტაციული ხასიათი, რამაც ჩაანაცვლა ტურბულენტური გლობალიზაცია (Papava, 2022a), რომელიც სახეზე იყო ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის პირობებში. COVID-19 პანდემიის მიმდინარეობის გასული პერიოდის, შემდგომ უკრაინის ომის და სანქციების რეალიზაცის ანალიზი იძლევა საფუძველს გამოიყოს მთელი რიგი ახალი თავისებურებები, რომლითაც შეიძლება დახასითდეს თანამედროვე გლობალიზაცია, მსოფლიო და გლობალური ეკონომიკა.

გლობალიზაციის თვისობრივად ახალი ფორმატი მოითხოვს ეკონომიკური ზრდის და განვითარების პრობლემატიკის შესაბამის წარმოდგენას და განსხვავებული პრიორიტეტების ფორმირებას. ამ მიმართებით თანამედროვე კონცეფციების და თავისებურებების შესახებ შეიძლება გამოიყოს არაერთი გამოქვეყნებული ნაშრომი (იხ., მაგალითად, Acemoglu, 2002; Agarwal, 2022; Chikobava, 2012; Bedianashvili, 2021a, 2021b, 2022; Van den Berg, 2017; Hess, 2013; Weil, 2012; Papava, 2012, 2018, 2019, 2022; Rodrick, 2013, 2019; Sengupta, 2011).

ეკონომიკური ზრდის და განვითარების პრობლემატიკასთან მიმართრებით შეიძლება გამოიყოს მთელი რიგი კვლევები, რომლებშიც ასახულია სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკების და ეკონომიკური განუზღვრელობის გათვალისწინების თავისებურებები (Acemoglu, 2002; Agarwal, 2022; Balcerowicz& Rzońca, 2014; Bedianashvili, 2021a, 2021b, 2022; Chikobava, 2012; Greiner & Semmler, 2008; Helman, 2004; Van den Berg, 2017; Hess, 2013; Kakulia& Zhghenti, 2019; Konya, 2018; Papava,

2012, 2014, 2018, 2019, 2022b; Petrakis, 2014; Rodrick, 2013, 2019; Ros, 2013; Schumpeter,1934; Sengupta, 2011; Parkash, 2013; Kirilov et al., 2021; Weil, 2012).

კვლევის შედეგები/დისკუსია. კვლევებმა აჩვენეს, რომ თვისებრივად ახალი კონფრონტაციული გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების პირობებში, ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის პერიოდის ტურბულენტური გლობალური პროცესების პირობებში მკაფიოდ ფორმირებული განუზღვრელობის ზრდის ტენდენცია, შენარჩუნდა და გაგრძელდა. განუზღვრელობის ზრდა ცალსახად ფიქსირდება გლობალური კონექსტით და ცალეული ქვეყნების მიხედვითაც (Baker, 2016; Bedianashvili, 2021a,2021b,2022; Botshekan et al., 2022). ეკონომიკური ზრდის და განვითარების ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტია სწორედ განუზღვრელობის მაღალი დონე ეკონომიკასა და სოციალურ-ეკონომიკურის სისტემის სხვა სფეროებში.

გლობალური ეკონომიკის განუზღვრელობის ზრდის ტენდენცია ნათლად ჩანს გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის განუზღვრელობის ინდექსის დინამიკაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში (ნახ. 1).

ნახ. 1. გლობალური ეკონომიკურ პოლიტიკის განუზღვრელობის ინდექსის დინამიკა



წყარო: აგებულია https://www.policyuncertainty.com/ -ის მიხედვით

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარებასთან მიმართებით ერთ-ერთი დეტერმინანტია სოციალურ-ეკონომიკური განუზღვრელობის მაღალი დონე, რომლის ზრდის ტენდენციაც შენარჩუნდება უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში. უაღრესად მნიშვნელოვნია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე ცოდანზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფორმირება გრძელვადიანი საპროგნოზო ნაწილის არსებითი გაძლიერებით (Bedianashvili, 2021a).

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ეკონომიკური ზრდის და განვითარების ისეთი დეტრმინანტი, როგორიცაა კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები და შეზღუდვები. კლიმატის პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის

ურთერთმიმართების ოპტიმიზაცია, გამომდინარე მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან, არის აღნიშნული კლიმატური შეზღუდვის შერბილების ერთ-ერთი ეფექტიანი ვარიანტი. აქ მდგრადი განვითარება უნდა გულისხმობდეს ეკონომიკის, სოციალური სფეროს და ბუნებრივი გარემოს სისტემურ მდგრადობას.

ეკონომიკური განვითარების დეტერმინანტებს შორის აღსანიშნავია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება და შემდგომ მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, ასევე ინოვაციური ფაქტორის გამოყენების დონე ქვეყნის ეკონომიკაში და უშუალოდ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ამ ფაქტორების როლი განსაკუთრებით იზრდება.

განუზღველობის გაზრდა, კორონომიკული კრიზისი, ომი და სხვა ეკზოგენური შოკების გამომწვევი ფაქტორების არსებობა და მათი გაჩენის მაღალი რისკი მომავალშიც უფრო აქტუალურს ხდის ცოდნაზე დაფუძნებული ეკომომიკის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ეკონომიკის და მთლიანად საზოგადოების დიჯიტალიზაცია, უშუალოდ ცოდნაზე დაფუძნებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ცოდნაზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობა (Bedianashvili, 2021a).

ნახ. 2. **ეკონომიკური ზრდა და განვითარება საზოგადოების კულტურულ ფასეულობათა ცვლილებების კონტექსტით**



წყარო: აგებულია ავტორის მიერ.

ეკონომიკური ზრდის და განვითარების კონტექსტით განსაკუთრებული როლი ეკუთვნის კულტურულ დეტერმინანტებს - ქვეყნის ეროვნული კულტურის თავისებურებებს. ისინი არსებითად განაპირობებენ როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე მთლიანი სოციაურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რაოდენობრივ და თვისებრივ ასპექტებს. მაკრო

დონეზე ეს გამოვლინდება პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების და რეალიზაციის პროცესში, ხოლო მიკრო დონეზე - სამეწარმეო საქმიანობის ორიენტირების ფორმირებისას, მეწარმეობის განვითარების დონეში და ეფექტიანობაში (ნახ.2). რაც შეეხება საქართველოსთვის სასურველ მდგომარეობას, ის ცვლილებები, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს კულტურულ ფასეულობათა ტრანსფორმაციისთვის, ესაა ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალური გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატიზმის) გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება (ბედიანაშვილი, 2016, 2017).

დასკვნები და წინადადებები. თანამედროვე პირობებში გასათვალისწინებელია ეკონომიკური ზრდის და განვითარების ახალი დეტერმინანტები, რაც უფრო მკაფიო ხდება კონფრონტაციული გლობალიზაციის კონტექსტში. მათ შორის პირველ რიგში უნდა გამოიყოს სოციალურ-ეკონომიკური განუზღვრელობის მაღალი დონე და მისი ზრდის ტენდენცია, კლიმატის გლობალური ცვლილების პრობლემები, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება, ქვეყნის კულტურის და ფასეულობების მაჩვენებლების თავისებურებები. ამ მიმართებით მნიშვნელოვნია შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე ცოდანზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფა გრძელვადიანი საპროგნოზო ნაწილის არსებითი გაძლიერებით, კლიმატის პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის ურთერთმიმართების ოპტიმიზაცია, გამომდინარე მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან, არის აღნიშნული კლიმატური შეზღუდვის შერბილების ერთ-ერთი ეფექტიანი ვარიანტი, ეკონომიკაში და უშუალოდ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში ინოვაციური ფაქტორის გამოყენების დონის ამაღლება, ეკონომიკის და მთლიანად საზოგადოების დიჯიტალიზაცია, ქვეყნისთვის აქტუალურ ადამიანებში გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატიზმის) გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

ბედიანაშვილი, გ. (2021ბ). კოვიდ-19-ის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები და ეკონომიკური განუზღვრელობის გამოწვევები. *VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 34-38.

ბედიანაშვილი, გ. (2014). კულტურა, როგორც ინსტიტუტი ქვეყნის და საერთაშორისო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში. *ეკონომისტი*, 6, 6-16.

ბედიანაშვილი, გ. (2016). გლობალური ბიზნესგარემო, ევროპული ინტეგრაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვიტარების კულტურული პოტენციალი. გლობალიზაცია და ბიზნესი. 1, 9-25. https://doi.org/10.35945/gb.2016.01.002

ბედიანაშვილი, გ. (2017). ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 3, 10-16. https://doi.org/10.35945/gb.2017.03.001

კაკულია, ნ., ლაზარაშვილი, თ. (2019). ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოში. კონფერენციის მასალების კრებული: *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში* (შრომების კრებული), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1-2 ნოემბერი. 174-178.

ჩიქობავა, მ. (2012). კონვერგენციის შსაძლებლობები ნეოკლასიკური და ენდოგენური ზრდის მოდელების მიხედვით. *ეკონომიკა და ბიზნესი.* 4, 11-24.

Acemoglu, D. (2002). *Introduction to Modern Economic Growth*. Department of Economics, Massachusetts Institute of Technology.

Agarwal, P. (February 25, 2022). Economic Growth. *Intelligent Economist.*

Aghion Philippe, Peter Howitt Peter. 2009. *The economics of Growth.* Cambridge, Massachusetts London, England.

Baker, S., Bloom, N. & S. J. Davis, S., J. (2016). Measuring Economic Policy Uncertainty. *Quarterly Journal of Economics*. 131, 1593–1636.

Balcerowicz, Leszek & Rzońca, Andrzej (Editors). 2014. Puzzles of Economic Growth. International Bank for Reconstruction and Development / The World Bank.

Bedianashvili, G. (2021a). "Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 15(2), 191-197.

Bedianashvili, G. (2022). The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect). Materials of International Scientific Conference: *Covid 19 Pandemic and Economics*. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. 38-42.

BonHoKoo & Dwight H. Perkins (Eds). (1995). *Social Capability and Long-Term Economic Growth*. Korea Development Institute.

Chikobava, M. (2012). Possibilities of convergence from the point of view of neoclassical and endogenous models of growth. *Economics and Business*, 4, 11-24. http://eb.tsu.ge/doc/jurnali4_ivl_agv_2013.pdf

Greiner, Alfred & Semmler, Will. 2008. *The Global Environment, Natural Resources, and Economic Growth*. Oxford University Press, Inc., publishes works that further.

Helman, E. 2004. *The Mystery of Economic Growth. Cambridge*. Massachusetts, and London, England: The Belknap Press of Harvard University Press.

Hendrik Van den Berg (2017). *Economic Growth and Development*. World Scientific Publishing Co. Pte. Ltd. https://www.amazon.com/Economic-Growth-Development-Hendrik-Berg-ebook/dp/B01LZD0TGC/ref=sr_1_35?crid=3S3HAPKC1MRUH&keywords=Economic+Growth&qid=1658688675&s=books&sprefix=economic+growth%2Cstripbooks-intl-ship%2C228&sr=1-35&asin=B01LZD0TGC&revisionId=eb07a386&format=1&depth=1

Hess, P., N. (2013). *Economic Growth and Sustainable Development*. Routledge is an imprint of the Taylor &Francis Group, an Informa business.

Kakulia, N., Zhghenti, T. (2019). Institutional Determinants of Economic Growth in Georgia and in Other Post-Communist Economies. *World Academy of Science, Engineering and Technology.* 13 (5), 642-645.

Konya, Istvan. 2018. *Economic Growth in Small Open Economies. Lessons from the Visegrad Countries.* Centre for Economic and Regional Studies Budapest, Hungary.

Botshekan, MH, Takaloo, A., Soureh, RH, Abdollahi Poor MS (2022). Global Economic Policy Uncertainty and Non-Performing Loans in Iranian Banks: Dynamic Correlation using the DCC-GARCH Approach. *Journal of Money and Economy*. 16 (2), 187-212. doi: 10.29252/jme.16.2.187.

O'Rourke, K. H., &. Williamson, J. G. (2002). When did globalization begin? *European Review of Economic History*, 6, 23-50.

Papava, V. (2012). Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS.* 13(4), 120-128.

Papava, V. (2014). The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example). *Problems of Economic Transition*, 57(3), 3–12.

Papava, V. (2018). Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States). *European Journal of Economic Studies*, 7(2), 109-125.

Papava, V. (2019). On the economic growth in post-communist countries of Eastern Europe. *Economics and Mathematical Methods*, 56(1), 34-43.
doi: 10.31857/S042473880006769-4

Papava, Vladimer. (2022a). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I

Papava, V. (August 04, 2022b). On Economic Growth in G20 Countries in 2022, Adjusted for Catch-Up Effect. *Eurasia Review*.

Petrakis, E. P. 2014. *Culture, Growth and Economic Policy*. Springer Heidelberg New York Dordrecht London

Robertson, R. (1985). The relativization of society: Modern religion and globalization. In: Shepherd, William C. and Robbins, Thomas (eds) New Religious Movements and the Law. New York: Crossroads Books.

Rodrick, D. (2013). The Past, Present, and Future of Economic Growth.

Rodrik, D. (2019). Where Are We in the Economics of Industrial Policy? VoxEU.org, 21 January https://voxdev.org/topic/public-economics/where-are-we-economics-industrial-policies

Ros, J. (2013). *Rethinking Economic Development, Growth, and Institutions*. Oxford University Press.

Schumpeter, J. A.1934. *The Theory of Economic Development: An Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle*. Cambridge: Harvard Business Press.

Sengupta, J. (2011). *Understanding Economic Growth: Modern Theory and Experience*. The University of California, Santa Barbara College of Letters & Science.

Sengupta, J. 2011. *Understanding Economic Growth: Modern Theory and Experience.* Springer New York Dordrecht Heidelberg London.

Singh, Pavitar, Parkash (Edited). 2013. *Economics of Growth and Development.* Lovely Professional University Phagwara.

Strategies of Socio-Economic Development and Mechanisms of Their Implementation in the Conditions of Economic Uncertainty and Globalization Changes. 2021. Editor: Yurii Kirilov; Givi Bedianashvili; Ganna Zhosan; Quji Bichia. Kherson, Tbilisi.

Weil, David, N. 2012. *Economic Growth*. New York: Pearson. https://www.pdfdrive.com/economic-growth-3rd-edition-e188958246.html

REFERENCES

Acemoglu, D. (2002). *Introduction to Modern Economic Growth*. Department of Economics, Massachusetts Institute of Technology.

Agarwal, P. (February 25, 2022). Economic Growth. *Intelligent Economist.*

Aghion Philippe, Peter Howitt Peter. 2009. *The economics of Growth.* Cambridge, Massachusetts London, England.

Baker, S., Bloom, N. & S. J. Davis, S., J. (2016). Measuring Economic Policy Uncertainty. *Quarterly Journal of Economics*. 131, 1593–1636.

Balcerowicz, Leszek & Rzońca, Andrzej (Editors). 2014. Puzzles of Economic Growth. International Bank for Reconstruction and Development / The World Bank.

Bedianashvili, G. (2014). "Culture as an Institution in the Context of Socio-Economic Development of Country and International Business." *Ekonomisti*, 6: 6-16 (In Georgian).

Bedianashvili G. (2016). The Global Business Environment, European Integration and the Cultural Potential of Social-economic Development of Georgia. *Globalization and Business*. European University, № 1, 19-25 (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2016.01.002

Bedianashvili, G. (2017). Formation of Knowledge Economy and Innovative Entrepreneurial Policy: Institutional Aspects. *Globalization and Business*. 3, 10-16. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2017.03.001

Bedianashvili, G. (2021a). "Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 15(2), 191-197.

Bedianashvili, G. (2021b). "The Socio-Economic Effects of Covid-19 and the Challenges of Economic Uncertainty." Materials of VI International Scientific Conference: *Challenges of Globalization in Economics and Business*. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. 34-38 (In Georgian).

Bedianashvili, G. (2022). The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect). Materials of International Scientific Conference: *Covid 19 Pandemic and Economics*. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. 38-42.

BonHoKoo & Dwight H. Perkins (Eds). (1995). *Social Capability and Long-Term Economic Growth*. Korea Development Institute.

Chikobava, M. (2012). Possibilities of convergence from the point of view of neoclassical and endogenous models of growth. *Economics and Business*, 4, 11-24. http://eb.tsu.ge/doc/jurnali4_ivl_agv_2013.pdf

Greiner, A. & Semmler, W. (2008). *The Global Environment, Natural Resources, and Economic Growth*. Oxford University Press, Inc., publishes works that further.

Helman, E. (2004). *The Mystery of Economic Growth. Cambridge*. Massachusetts, and London, England: The Belknap Press of Harvard University Press. http://ndl.ethernet.edu.et/bitstream/123456789/44467/1/45.pdf

Van den Berg, H. (2017). *Economic Growth and Development*. World Scientific Publishing Co. Pte. Ltd. https://www.amazon.com/Economic-Growth-Development-Hendrik-Berg-ebook/dp/B01LZD0TGC/ref=sr_1_35?crid=3S3HAPKC1MRUH&keywords=Economic+Gr

owth&qid=1658688675&s=books&sprefix=economic+growth%2Cstripbooks-intl-ship%2C228&sr=1-35&asin=B01LZD0TGC&revisionId=eb07a386&format=1&depth=1

Hess, P., N. (2013). *Economic Growth and Sustainable Development*. Routledge is an imprint of the Taylor &Francis Group, an Informa business.

Kakulia, N., Lazarashvili, T. (2019). "Institutional Transformation and its Challenges in Georgia." Materials of VI International Scientific Conference: *Challenges of Globalization in Economics and Business*. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. 174-178 (In Georgian).

Kakulia, N., Zhghenti, T. (2019). "Institutional Determinants of Economic Growth in Georgia and in Other Post-Communist Economies." *World Academy of Science, Engineering and Technology.* 13 (5): 642-645.

Konya, Istvan. (2018). *Economic Growth in Small Open Economies. Lessons from the Visegrad Countries.* Centre for Economic and Regional Studies Budapest, Hungary.

Botshekan, MH, Takaloo, A., Soureh, RH, Abdollahi Poor MS (2022). Global Economic Policy Uncertainty and Non-Performing Loans in Iranian Banks: Dynamic Correlation using the DCC-GARCH Approach. *Journal of Money and Economy*. 16 (2), 187-212. doi: 10.29252/jme.16.2.187

O'Rourke, K. H., &. Williamson, J. G. (2002). When did globalization begin? *European Review of Economic History*, 6, 23-50.

Papava, V. (2012). Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS.* 13(4), 120-128.

Papava, V. (2014). The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example). *Problems of Economic Transition*, 57(3), 3–12.

Papava, V. (2018). Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States). *European Journal of Economic Studies*, 7(2), 109-125.

Papava, V. (2019). On the economic growth in post-communist countries of Eastern Europe. *Economics and Mathematical Methods*, 56(1), 34-43. doi: 10.31857/S042473880006769-4

Papava, V. (August 04, (2022a). On Economic Growth in G20 Countries in 2022, Adjusted for Catch-Up Effect. *Eurasia Review*.

Papava, Vladimer. (2022b). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I

Petrakis, E. P. (2014). *Culture, Growth and Economic Policy*. Springer Heidelberg New York Dordrecht London

Robertson, R. (1985). The relativization of society: Modern religion and globalization. In: Shepherd, William C. and Robbins, Thomas (eds) New Religious Movements and the Law. New York: Crossroads Books.

Rodrick, D. (2013). The Past, Present, and Future of Economic Growth.

Rodrik, D. (2019). Where Are We in the Economics of Industrial Policy? VoxEU.org, 21 January https://voxdev.org/topic/public-economics/where-are-we-economics-industrial-policies

Ros, J. (2013). *Rethinking Economic Development, Growth, and Institutions*. Oxford University Press.

Schumpeter, J. A. (1934). *The Theory of Economic Development: An Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle*. Cambridge: Harvard Business Press.

Sengupta, J. (2011). *Understanding Economic Growth: Modern Theory and Experience*. The University of California, Santa Barbara College of Letters & Science.

Sengupta, J. 2011. *Understanding Economic Growth: Modern Theory and Experience.* Springer New York Dordrecht Heidelberg London.

Singh, Pavitar, Parkash (Edited). 2013. *Economics of Growth and Development.* Lovely Professional University Phagwara.

Kirilov, Y., Bedianashvili, G., Zhosan, G., & Bichia, Q. (Editors) (2021) *Strategies of Socio-Economic Development and Mechanisms of Their Implementation in the Conditions of Economic Uncertainty and Globalization Changes*. Kherson& Tbilisi.

Weil, David, N. (2012. *Economic Growth*. New York: Pearson. https://www.pdfdrive.com/economic-growth-3rd-edition-e188958246.html